09.12.2013

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2013 წლის III კვარტალი

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2013 წლის III კვარტალში 239 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც ამავე წლის II კვარტალის მაჩვენებელს 3 პროცენტით, ხოლო 2012 წლის III კვარტალის მაჩვენებელს 20 პროცენტით აღემატება.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას 2011-2013 წლებში.

დიაგრამა №1.



*წინასწარი მონაცემები.

ცხრილი №1 ასახავს საინვესტიციო ნაკადების კვარტალურ დინამიკას 2011-2013 წლებში. წინასწარი მონაცემებით, 2013 წლის III კვარტალში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომავალმა ნაკადებმა 551 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ცხრილი №1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2011-2013* წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

	2011				2012				2013*		
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სულ	**210**	**248**	**317**	**343**	**261**	**218**	**199**	**234**	**226**	**232**	**239**
მათ შორის:											
შემომავალი ნაკადები	315	334	437	509	358	312	345	414	326	480	551
ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება	-106	-86	-121	-166	-97	-95	-146	-180	-100	-247	-312

*წინასწარი მონაცემები.

2013 წლის III კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები ასე განაწილდა (ცხრილი №2):

ცხრილი №2. ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2013 წლის III კვარტალის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

	2011				2012				2013*		
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III
სულ	**209.7**	**248.3**	**316.6**	**342.6**	**261.2**	**217.7**	**199.0**	**233.7**	**226.2**	**232.4**	**238.7**
მათ შორის:											
საერთაშორისო ორგანიზაციები	8.7	23.2	11.3	51.7	12.0	0.1	46.6	4.8	9.1	-8.1	48.9
აშშ	-26.3	51.5	-25.1	28.0	13.1	-1.8	17.6	-8.7	8.4	19.0	35.4
ნიდერლანდები	39.4	20.5	108.1	73.8	-98.7	68.7	33.7	31.7	34.9	65.0	31.7
თურქეთი	16.1	21.9	27.5	10.0	6.2	15.9	40.1	18.9	-1.2	38.1	31.0
გაერთიანებული სამეფო	39.3	5.2	5.8	4.7	24.4	13.5	15.7	40.0	18.3	-22.4	29.1
მალტა	0.3	4.4	1.0	0.4	5.6	9.6	5.2	11.8	4.2	1.7	29.0
არაბეთის გაერთიანებული ემირატები	4.8	13.2	-77.3	7.0	3.7	3.8	7.3	9.5	2.5	2.8	24.3
დანარჩენი ქვეყნები	127.4	108.4	265.2	167.1	294.8	107.8	33.0	125.6	150.1	136.3	9.3

*წინასწარი მონაცემები.

2013 წლის III კვარტალში უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტორი ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას გვიჩვენებს სექტორული დიაგრამა №2, რომლის მიხედვით პირველ ადგილზე საერთაშორისო ორგანიზაციები იმყოფება 20 პროცენტით, მეორეზე აშშ - 15 პროცენტით, მესამე და მეოთხე ადგილს ნიდერლანდები და თურქეთი ინაწილებენ 13-13 პროცენტით.

დიაგრამა №2.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2013* წლის III კვარტალში



*წინასწარი მონაცემები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება 2013 წლის III კვარტალის მიხედვით ეკონომიკის სექტორების ჭრილში მოცემულია ცხრილში №3:

ცხრილი №3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2011-2013* წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

	2011				2012				2013*		
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III
სულ	**209.7**	**248.3**	**316.6**	**342.6**	**261.2**	**217.7**	**199.0**	**233.7**	**226.2**	**232.4**	**238.7**
მათ შორის:											
საფინანსო სექტორი	37.6	26.7	47.8	55.5	65.5	15.6	48.9	32.6	65.2	13.1	47.7
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	0.7	60.6	28.5	36.7	-8.2	47.7	21.9	11.4	11.9	46.0	47.0
ენერგეტიკა	38.4	-7.5	82.4	90.7	29.7	59.2	45.0	45.5	41.8	66.3	33.4
მშენებლობა	20.3	22.6	4.5	0.7	0.8	4.3	8.6	28.2	-1.4	38.6	21.4
დამამუშავებელი მრეწველობა	48.1	23.5	18.3	30.5	70.9	33.8	19.9	43.4	11.3	59.1	17.1
სოფლის მეურნეობა	2.3	2.4	6.1	4.1	4.8	5.2	5.0	1.0	3.7	3.8	11.0
სამთომოპოვებითი მრეწველობა	20.5	-6.6	11.6	14.7	8.1	-14.4	10.4	0.7	12.9	9.7	10.6
სასტუმროები და რესტორნები	16.0	10.9	2.9	-7.2	5.0	10.4	0.2	2.1	-0.5	-12.6	5.5
დანარჩენი სექტორები	25.9	115.6	114.4	116.8	84.6	55.8	39.1	68.9	81.1	8.3	45.0

უმსხვილესი სექტორების წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2013 წლის III კვარტალში 81 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა და 48 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 20 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა 47 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე ენერგეტიკა - 33 მლნ. აშშ დოლარით.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2013 წლის III კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაში №3:

დიაგრამა №3.

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2013* წლის III კვარტალში



* წინასწარი მონაცემები.

წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ“);
2. საქართველოს ეროვნული ბანკი;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური;
5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

განმარტება: ინვესტორის მიმართ ვალდებულების შემცირებაში იგულისხმება დივიდენდების გაცემა, სავაჭრო კრედიტის დავალიანების დაფარვა, სესხისა და პროცენტის თანხის გადახდა.

საკონტაქტო პირი: ლია ძებისაური, ტელ.: (+995 32) 36 72 10 (300). E-mail: ldzebisauri@geostat.ge info@geostat.ge
www.geostat.ge, info@geostat.ge